2 (14 ოკტომბერს 1869.

№ 40.

მეოთხე წელიწადი.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი

	გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქ-შვილის და კომპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი:

შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბები.—პოლიტიკა: ფრანცია.—იტალია.—შვეიცარია.—საბერძნეთი.—ფელიციას საქმე.—სხვა და სხვა ამბები.—ლექსები.—სავაჭრო ცნობები.—ფოჩტა—ტელეგრაფი.—ფელეტონი.

შინაგანი ცნობები.

წარსული კვირის ხუთშაბათს 25 სექტემბერს, დილის ორს საათზე, მისი იმპერატორებითის უმაღლესობა დიდი ქნეინა ოლღა ფეოდოროვნა მშვიდობით განთავისუფლდა მშობიარობისაგან და ეყოლა ვაჟი, რომელსაც, ლოცვა-კურთხევის შემდეგ, დაარქვეს სახელათ **სერგეი**

—

მისი იმპერატორებითის უმაღლესობა კავკასიის ნამესტნიკი, როგორც ისმის, მობრძანდება თბილისში ამ თვის 10—15 რიცხვებში.

—

თბილისსა და ფოთს შუა რკინის გზის მუშაობაზე გაზ. „Кавказъ“ში სწერენ შემდეგს: მიწის მუშაობა აგრეთვე სურამის ხიდის გასწორება და იქაური კლდეების დამტვრევა ძალიან მარჯვეთ მიდის. რკინის ხიდების ნაწილები დიდი ხანია ამოტანილი არიან ფოთში; თავ თავის ადგილზე მიიტანებენ იმათ მერმის ზაფხულში. თითონ რკინის ხიდები, როგორც ამბობენ, მერმის ნოემბერში მზათ იქნებიან. ამის შემდეგ ხვინჭას მოაყრიან გზაზე და ზედ რელსებს დაალაგებენ; ამას მოუნდება სულ ექვსი თვე, ასე რომ რკინის გზა თბილისიდან ფოთამდი 1872 წლამდინ არ გაიმართება.—სტანციებისთვის მასალები ზოგან მზათ არის, მაგრამ იმათ შენებას ჯერ არსად არ შეუდგომიან.—

—

„პეტერბურღის“ უწყებებში სწერია: ჩვენ გაზეთში იყო გამოცხადებული რომ კავკასიაში რკინის გზის გაკეთება მინდობილი აქვს უ. პოლიაკოვსა. ამ ამბავს გაზეთი Дѣятельность-ი დაუმატებს რამოდენიმე წვრილ ამბავს: პოლიაკოვს ნება დაერთვა, რომ რკინის გზა გაიყვანოს იმისაგან გამოკვლეულს ადგილში როსტოვის გზიდან, ვლადიკავკაზზე თბილისამდინ. შეკრულობაში არის პირობა, რომ გზა უნდა გაიხსნას მისვლა მოსვლისათვის 1872 წლამდინ და მუშაობისათვის მიეცემა კავკასიის მაზრის ჯარი.

—

როგორც შევიტყეთ რამდენთაგანმე ენკენისთვის 29-ს ოთხ საათზე ქალაქში უგრძვენიათ მიწის ძვრა. მაგრამ ამ ამბავზე არაფერი შენიშვნა არ არის Кавказъ-ის ოთხშაბათის ნომერში, რომლებშიაც იბეჭდება ხოლმე ტფილისის ობსერვატორიის შენიშვნაები.

—

სექტემბრის 28 დაესწარით ჩვენ შეგირდების ეგზამენზე ლოჭინის საპრაქტიკო ხუტორში; ამ დღეს შეასრულა აქ სწავლა ხუთმა შაგირდმა, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში უ. ფივეგის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ მეურნეობას ლოჭინში.—ლოჭინო ეკუთვნის ბარონ-ნიკოლაის და უ. ფივეგს არენდითა აქვს ის აღებული. „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“ 1864 წლიდგან აძლევს უ. ფივეგს შემწეობასა იმ პირობით, რომ იმან მო-

---

ფელეტონი.

ზაფხული სოფელში. ქალაქის თეატრი. ძველი ამბების მოგონება და სოფლის ხალხის შემოწყრომა ტფილისზე. ფიქრი მომავალზე. ორი მაგალითი ჩვენის ქალების შრომისა.

სიცხეებს ძლივს გადავრჩით. ზაფხულმა ისე მომაბეზრა, რომ ტფილისიდამ ავიყარე და სოფელში წავედი, სოფლის სიტკბოების საგემებლათ. და სწორეთ მოგახსენოთ ღირს კიდეც ქალაქიდგან გასვლა. აბა შეადარეთ თბილისის ტოთი, ბული და მტვრის კორიანტელი, სოფლის მშვიდს გრილ ჰაერს, გულის სევდის უკუმყრელს მწვანესა! თქვენ ისვენებთ ჯანით, სხეულით, გონებით და სულით შორდებით ქალაქის ათას ნაირ ამაოებას რაცკი გაუხსნელ კაცის გონებას აღვათ დაუდევია და რომელიც ამძიმებს თქვენს საყოველდღეო ცხოვრებას, ოდა ვერ მოგეხსენებია, რომ „განვხეთქნეთ საპაურნი მათნი და განვაგდოთ უღელი მათი“. მაგალითებრ, რომ დავიწყოთ, ბევრს ვიტყოდით, მაგრამ სად წავა. სოფელში თქვენ როგორღაც თარხნათა ხართ: არც ტანისამოსს დასდევთ, არც ჭამა სმას, არც სახლსა (რასაკვირველია ხშირათ იმიტომ, რომ მთელ სოფელში მიწურ ქოხების მეტს თავ შესაფარებელს ვერ იშოვნით). ახლა სოფელში რამდენ-რამე წახავ ახალსა, ჩემო მკითხველო, თუ ქალაქის მცხოვრები ხარ? დააკვირდი, სოფლის ხალხის ცხოვრებასა, რამდენს რასმეს ისწავლი, ყური დაუგდე ხალხს, ჭკუას გაიგონებ! მიუპყარი თვალი შენი და ყური შენი დაუყოვნებლივ საგრძნობელნი შენნი და ჰსცნობ, თუ ჭკუა დახშული კაცი არა ხარ, ბევრს სასარგებლო და საჭირო საქმეებს.

მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ შორს წავედით; ჩვენ უნდა ქალაქზე მოგელაპარაკნა ქალაქის ამბებზე. რადროს სოფელია! ღმერთო შემცოდე, რა ვთქვი? კაი დრო ეხლაა, სთვლობაა, მაგრამ ჩვენ ქალაქში ვყრივართ, აბა რას იზამ, ლაპარაკის ჯერი ისევ ქალაქსა ხვდება; მობრძანდით გვიყურეთ!

საქართველოში შემოდგომა გათქმულია ყველასაგან, ვისაც კი რამ გაუგონია ჩვენ ქვეყანაზე, ან ვისაც კი ამისთანა დროს ჩვენკენ გაუვლია. ქალაქშიაც შემოდგომა მშვენიერია: ჰაერი დამშვიდებული, მზე სასიამოვნოთ გვათბობს, სისხლი უფრო სასიამოვნოთ მუშაობს ძარღვებში და...და... სიყვარულისათვის გული გიცემთ. აი თქვენც მიეჩქარებით სადმე ბალში განსვენებისათვის, ან კლუბში ან თეატრში.

თეატრზე სიტყვა ჩამოვარდა და ფელეტონისტის ვალდებულებაა, თეატრზე რამ ილაპარაკოს. წრეულს კარგი თეატრი აქვს თბილისის პუბლიკას. რუსული ტრუპპა შარშანდელზე უკეთ არის შედგენილი; იტალიანური ტრუპპა შარშანდელს თუ არა სჯობია, უარესი არ არის. ხალხი ბლომათ არის ხოლმე, როცა კარგი პიესებია, მაგრამ თუ უხეირო პიესაა, ასეთი სისუსტეა ხოლმე, რომ ხუთ ექვს ლოჟას და ოცდა ათ კაცზე მეტს კარტერში ვერა ნახავთ; მაგალითად იმ ღამეს როდესაც პირველათ დანიშნული იყო როსსინის ოპერა „იტალიანის ქალი ალჟირში“ და რომლის მაგიერათაც წარმოადგინეს „Не первый, не послѣдный“ დიაჩენკოს ნაწარმოები. ოსტროვსკის პიესებში თითქმის მთელი თეატრია დაჭერილი. აქამდინ ესე იგი ამ ერთ თვეში იმისი ორი პიესა წარმოადგინეს, „Доходное Мѣсто“ და „Гроза“. ეს უკანასკნელი კი არ გვინახავს ბილეთის უშოვნელობის გამო, მაგრამ პირველი კი საზოგადოთ კარგათ წარმოადგინეს. ყველაზე უმეტესათ ყურადღება მიაქცია პუბლიკამ ახალ აქტიორებს შურინს და ილოვაისკის, აქტრიცას გლებოვისას. შურინი Доходное мѣсто-ში მშვენივრათ ასრულებდა თავის როლს მეოთხე მოქმედების დასასრულში, მაგრამ სხვებში ძალიან მგრძნობელათ და თავ—მოკატუნებულსავით თავს იჭერდა; მონოლოგებს დარიგების მსგავსათ კითხულობდა, მაშინ როდესაც ჟადოვი არის ენტუზიასტი, კეთილშობილური აზრებით აღტაცებული კაცი, რომელიც ძლიერია საქმისათვის, თუმცა კი შეიძლება უანგარიშოთ საქმის დაჭერისაგან ხშირათ შესცდეს და ბოლოს დაეცეს. ამისა გამო ის არ არის ცხვარივით კეთილი გულის კაცი, რომლის მსგავსიც გამოდიოდა შურინის ჟადოვი... მაგრამ უკეთესი ადგილი შურინმა მშვენივრათ წარმოადგინა; ეს ის ადგილია, როდესაც ჟადოვი ებრძვის ცოლის სიყვარულსა და თავის საყვარელს აზრებსა. გლებოვისა საზოგადოთა თამაშობს თავისუფლათ, უფრო ბუნებითად, ადგილ ადგილს კარგათ ესმის თავისი როლი და, თუ ცდა არ დაიზარა, დროებით კარგი აქტრისა შეიქნება. პუბლიკამ ძალიან შეიყვარა და მუდამ ტაშსა ცსემს. ილოვაისკი ძალიან მოცადინესა ჰგავს. ეს ძალიან საჭირო თვისებაა. სხვანი... მაგრამ ძალიან გავაგრძელეთ თეატრზე ლაპარაკი თითქოს თეატრალურ რეცენზიასა ვსწერდეთო.

იქნება მკითხოთ ქართულ თეატრზე რამე? სად არის ქართული თეატრი! ამ ზაფხულს ლაპარაკი იყო, დააპირეს კიდეცა, მაგრამ ბევრი მასალები დააკლდა, და ძალიან კარგიც უქნიათ, რომ არ წარმოუდგენიათ. თუ იყოს, ისევ რიგიანი წარმოდგენა იყოს, თორემ ქართული თეატრი სამასხარო რაღაცა გახდეს: არც პიესებია ახალი, არც რიგიანი აღსრულება ძველი პიესებისა, არც ტანისამოსია და მოწყობილობა რიგიანი. წარმოიდგინეთ, რომ მოლიერის აჩემებულ პიესაში „ცოლის შერთვევინებაში“ სგანარელს ძველი მარკიზის ტანისამოსის მაგიერათ აცვია ჩვენი დროების შვეიცარის მსგავსი ტანისამოსი და ცრუ ფილოსოფოსებს მარფურიოზს და პანკრასს რაღაცა თათრული დერვიშის ტანისამოსი აცვიათ და ბერის სკუფია ხურამთ თავზე! ფრანცუზი რომ მოგვეყვანათ, იტყოდა ეს მოლიერის პიესა კი არ არის, ეს საბალაგანო თამაშობისათვის გადაკეთებულიაო მოლიერიაო. ან თუნდა ნამდვილ ქართულ პიესებში მოუხერხებელი ტანისამოსი ავიღოთ!.. ჩვენ აქ გარეგან შეხედულობას შევეხეთ, მაგრამ ეს გარეგანი შეხედულობა თითქმის კარგათ გამოხატავს შინაარსს პიესის აღსრულებისას. ჩვენ იმას არ ვამბობთ რომ ესა და ეს როლი კარგათ იყო წარმოდგენილი ამა და ამ პირისაგან, არა ჩვენ ვამბობთ საზოგადოთ პიესების წარმოდგენის მოწყობილების აღსრულებაზე. ჩვენი მაყურებელი პუბლიკა ხედავს იტალიანურ ოპერებს, რუსულ სპეკტაკლებს. თვალი და ყური საკმაოთ გახსნილი აქვს. თუ გინდათ რომ დასაცინარი არ გახდეთ, მაშასადამე იმათ დასაკმაყოფილებათ წარმოდგენის გაუმჯობესობაა საჭირო. [illegible] ვთქვი რომ, თუ იყოს, რიგიანი წარმოდგენა იყოს; თუ არა და მასხარაობა არა სჯობს. ამისთვის თადარიგის დაჭერაა საჭირო; ესე იგი ახალი კარგი რიგიანი პიესების მომზადება, რიგიანი დასწავლება როლებისა, რიგიანი განაწილება როლებისა, სცენის რიგიანი მოწყობილობა და საზოგადოთ კარგი თაოსნობა მართებს. თეატრის მოყვარეებმა ამაებს რომ ბეჯითი ყურადღება მიაქციონ, მაშინ ყველა კარგათ წავა და დასაცინარიც აღარა იქნებარა; პუბლიკა დაგიმადლებთ და პატივსა გცემთ.

ქალაქ გარეთ კი, ამბობენ, ბევრგან ყოფილა ქართული წარმოდგენაები; ეს სასიამოვნოა, და უფრო ის არის გასაგონათ სასიამოვნო, რომ კაი მეცადინეობით წარმოუდგენიათ. ღმერთმა ქნას ეს ამბავი მართალი იყოს და ბევრგან მომხდარიყოს. ღმერთმა ქნას თან-და-თან გახშირდეს, რომ ხალხის ნამდვილი განათლებას ცოტაოდე წარმატება მისცეს და, ამის მოთავე კაცები გამრავლდნენ! ქალაქს გარეშე ადგილებში თეატრს ექნება საკმაო გავლენა საზოგადოებაზე: გაუხსნის გემოვნებას და შეეწევა გონებითი ცხოვრების განვითარებასა. რასაკვირველია პიესებსაც ღირსება უნდა ჰქონდეთ ნამდვილის ცხოვრებისა, თორემ უსარგებლოთ დარჩება და დაედრება ქალალდის თამაშობაში დროების გატარებასა. მეტადრე რიგიანი წარმოდგენაები ამისთანა დროს კარგია, როდესაც ჩვენი ქართველობა სულ შინ არის დამწყვდეული და ქალაქს აღარა ხედავს.

სად არის ის დრო, როდესაც ქალაქში ჩამოვიდოდნენ ჩვენი დარბაისელი ქართველები და შეიკრიფებოდნენ ჩვენ ანჩისხატის უბანში! ს ლაყბოდან დაჭერილი მუხრანიანთ ხიდამდი სახლი არ იქნებოდა, რომ ოთხი ხუთი თავადი და აზნაურ-შვილი არ ჩამომხტარიყო. მაღალ ყელიანი წაღებით, ანუ ახალ დროს პოლსაპოგებით, წმინდა მაუდის კაბით ხავერდის ქულაჯაზე ჩაცმული, ჩატეხილი ქუდი გვერდზე, დოინჯ შემოყრილი გაისეირ-გამოისეირებდნენ ქალაქის პირველ ქუჩებში, გამართავდნენ მეჯლიშებს თარ—საზანდრითა. ყანწები იქნებოდა და აზარფეშები, რომ დაიცლებოდა. ან კიდევ ამ უკანასკნელ დროებში დროშკითა და ფაეტონით დასეირნებდნენ დღისით და ღამით კი ქალალდს მოუჯდებოდნენ, რომ დამძიმებული ჯიბიები შეემსუბუქებინათ! ვაი დრონი, დრონი, ნაქებნი მტკაპარათ! წარვიდნენ, წარხდნენ და აღარ დაბრუნდებიან! და რა ადვილათ ამსუბუქებდნენ ჯიბეს; სიმძიმე ძალიან აწუხებდათ. ქალაქში ჩამოსვლისათვის დიდი თადარიგის დაჭერა კი იცოდნენ, რომ საკმაო მძიმე ჯიბე

ივერიელი

აშენოს ხუტორში ახალი მცენარეები, რომლებიც უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი მხარისთვის, აჩვენოს საუკეთესო სამეურნეო იარაღების ხმარება და აგრეთვე გამოზარდოს იქ თავის ხარჯით ნასწავლი მუშები, რომ იმათაც რიგიანათ წაიყვანონ შემდეგში თავის მეურნეობა. ამ პირობისა დაგვარათ წელს სექტემბერში „კავკ. სამეურ. საზოგადოებამ“ გამოსცადა შაგირდების ცოდნა და ამოჩნდა რომ: „თითქმის ყველა შაგირდებმა იციან პრაქტიკულათ მეურნეობა; იმათ რიგიანათ შეუძლიანთ მიწის მუშაობა, ტყისა და ბაღის მოვლა, შინაური პირუტყვობის მოშენება და აბრეშუმისა და ღვინის მოყვანა. ამას გარდა შაგირდებმა გვარიანათ იციან რუსულათ წერა-კითხვა და ცოტათი არითმეტიკაც; მხოლოთ ისინი, რომლებიც სამეგრელოდან არიან რუსულში სხვებზე უფრო სუსტნი აღმოჩნდნენ. წერა-კითხვისა და არითმეტიკის სწავლება ხუტორის მმართებლობისთვის კონტრაქტით ვალდებული არ არის“. (Протоколъ засѣд. 27 сент. 1869 г. совѣта „Кавк. Общ. сель. хоз“). იმ საერო ეგზამენზე 28 სექტ., რომელზედაც ჩვენ დავესწარით, შაგირდების ცოდნის დაწვრილებით შეტყობა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, რადგან თითქმის 30 ყმაწვილს საათნახევრის განმავლობაში ჰკითხეს ყველაფერი; მაგრამ ეტყობოდა მაინცა, რომ საზოგადოთ ტყუილ-უბრალოთ არ გაუტარებიათ აქ იმათ დრო: ყველამ გვიჩვენა იქვე—რა ნაირათ უნდა დათესვა მსხვილ თესლსა და რანაირათ წვრილსა, როგორ რგავენ პატარა და დიდ ხეებსა, როგორ უნდა ასხლას კაცმა ყურძნის ვაზი, როგორ უნდა ატაროს გუთანი და სხვ.; თითქმის პატარებიც რიგიანათ ახერხებდნენ ამ საქმეს; ყველას ესმის-რისთვის შვრება ის რამე ისრე და არა სხვა ნაირათ; ყველას აქვს სიმარჯვე ხელში; ეს, რასაკვირველია, ძალიან საჭიროა მეოჯახე'თვის; მხოლოთ, ვაზის სხვლის დროს, ერთი შაგირდი ნამეტნავათ აჩქარდა და ცოტათ ხელი გაიჭრა; მაგრამ მაყურებლები რომ არ ყოფილიყვნენ, მე ვიცი, იმას ეს საქმე არ დაემართებოდა.—

მეურნეობის ეგზამენის შემდეგ, ყმაწვილები მოიხმეს ცალკე ოთახში და ზოგიერთებს წააკითხეს რუსული და ცოტა არითმეტიკაც ჰკითხეს; თითქმის ყველა გარკვევით ჰკითხულობდა და კარგათაც სწერდნენ.—

ეგზამენების შემდეგ თბილისის იერუსალიმის საყდრის მღვდელმა მ. სიმონოვმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აჩვენა „კავკაზიის სამეურნეო საზოგადოების“ კეთილი ზედმოქმედება აქაურს მეურნეობაზე და საზოგადოთ მმართებლობის ზრუნვა მხარის კეთილდღეობისათვის. შემდეგ მ. სიმონოვმა უთხრა რამდონიმე თანაგრძნობის სიტყვები თითონ შაგირდებს და მოისურვა, რომ ისინი შეიქნენ სასარგებლო წევრნი საზოგადოებისა და სახელმწიფო'სათვის.—

უ. სიტოვსკიმ წაიკითხა პროტოკოლი „საზოგადოების“ 27 სექტ. სხდომისა, რომელზედაც გადაეწყვიტათ: ღირს ყოფა ნასწავლი მუშის წოდებისა ხუთი შაგირდისათვის, რომელთაც ოთხს წელიწადზე მეტი დაჰყვეს ლოქინის ხუტორში: მათე კალიჩავაძის, გიორგი ბელდზეშევსკის, ფედორე ფუნკის, ივანე ლემონჯის და ჯონდა მიქაძის. ამ ხუთ შაგირდს კარგათ სწავლისა და მეცადინეობისათვის აჩუქეს კიდევ: კალიჩავაძეს და ბელდზეშევსკის ყუთი ბაღის იარაღით, ფუნკს ყუთი დურგლის იარაღებით და ლემანჯასა და მიქაძეს ჯიბის ყუთი ბაღის იარაღებითვე;—ამათ გარდა, „კავკ. სამ. საზოგადოებამ“ დაურიგა წიგნები—საჩუქრებათ აგრეთვე სხვა ახლ-შემოსულ შაგირდებსაც.—

ახალი წყლის ასაწევი მაშინა.

უუ. სტებნიცკი და ვ. ბოლახოვი გვაცნობებენ გაზეთს „კავკაზში“ ახლათ გამართულ წყლის ასატანი მაშინაზე ძალიან შესანიშნავს ცნობებს. აქაური არსენალის უმფროსს უფ. ვ. ზ. ლიხოტინსკის გაუმართავს ნავთლუღის იქით წმ. ბარბარეს საყდრის ახლოს წყლის ასატანი მაშინა სრულებით ახალს სისტემაზე. მომართულება ამ მაშინისა არის შემდეგი: ერთი ბურღის მგზავსათ მოგრეხილის რკინის ფრთე, 6 ფუტის (ერთი ფუტი ნახევარ არშინზე ცოტა მეტია, საჟენში შვიდი ფუტია) სიგძე, და ამდონივე სისქე, გდია მტკვარში და წყალი ატრიალებს იმას. ეს ტრიალი ემლევა ტუმბოს, რომელსაც ამოაქვს წყალი სიმაღლით 8 საჟენზე მტკვრის პირიდგან და გაჰყავს 150 საჟენ მილში. მერე ამ მილიდგან წყალი გადმოდის ბაღის მაღალ ადგილზე და აქედგან პატარა არხებით ირწყვება მთელი ბაღი.

ზემოხსენებულთ პირთ გამოეცადნათ ეს მაშინა სექტემბრის 20-ს და ამოჩენილა რომ, როდესაც მტკვარი გარბის ერთ სეკუნდში $4\frac{1}{2}$ ფუტზე, მაშინ ფრთე ბრუნავს მინუტში $7\frac{1}{2}$ ჯერ; ტუმბოც 30 ჯერ სცემს და ამოაქვს მინუტში $9\frac{1}{2}$ ვედრო წყალი, რომელიც დღეში შეადგენს 13,536 ვედროს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ახლა მტკვარი დაკლებულია და მძიმეთაც მიდის, მაშინ ცხადია, რომ წყალ დიდობაში ეს ტუმბო უფრო ბევრს წყალს ამოიღებს. მაისში ტუმბოს ამოაქვს დღეში 32 ათასი ვედრო წყალი.

მთელი გამართულება ამ მაშინისა ისე ადვილი და იაფი არის, რომ რაც თბილისში წყლის ასაწევი მაშინები არის, ყველაზე სახეიროა და იაფიც. ახლა უფ. ლიხოტინსკი უკეთებს ამისთანა მაშინას სუმბათოვებს. იმან უნდა მორწყას 120 დღიური ისეთი მიწა, რომელიც აქამდინ უწყლოობისაგან სრულებით უნაყოფო და გამოუსადეგარი იყო. უფ. სტებნიცკი და ბოლახოვი მიაქცევენ ამ საქმეზე თბილისის მცხოვრებლების ყურადღებას და ჰპირდებიან მართლათაც დიდს სარგებლობას რამდენიმე ამგვარი მაშინების გამართვისაგან. ეს საქმე, უეჭველია, მოსპობს თულუხების ცუდი წყლის ხმარებას; მის მაგიერათ ჩვენ

ჩამოეტანათ. ყმაწვილი კაცი, რომელიც კი დიდხანს აპირობდა ქალაქის ნახვასა და რომელსაც შემოსავალი წელიწადში ორმოცი თუმანი არა ჰქონდა, ტფილისში ჩამოსასვლელათ ორმოც თუმნის შეკრებას ელოდებოდა, რომ ქალაქში უნდა ჩავიდე და კეთილშობილურის ცხოვრებისამებრ გავატარო დროებაო. მოდიოდა ქალაქში და ორმოც თუმანს ერთ კვირაზე გააქრობდა ყურთმაჯ აკრეფით ფაეტონში სიარულზე, ქაღალდის თამაშობაზე და კამელიებზე. ქალაქის ქუჩებში რომ დროშკით ანუ ფაეტონით ჩააქროლებდა, მხრებს მაღლა აიწევდა და განიერ დოინჯებს შემოიყრიდა, ასე გონია მთელი ქალაქის ხალხი ეს არის მე მიყურებსო. ის კი არ იცოდა, რომ ქალაქის ბაზრის ხალხი მაშინვე კოჭებში ატობდა რა კაციც არის და რა ადვილი მოსათლელი ნაჭერია, და ვაჭრობაში დღეგრძელობა თქვენა გაქვთ, კარგა უბერტყავდა ჯიბეებსა. დღეგრძელობა თქვენა, რამდენს ის დასცინებდა თავისის მოამხანაგეებითურთ. მაგრამ წავიდნენ ის დღეები; ეხლა ძალიან იშვიათათა ჩანან ჩვენი დარბაისლები, ქალაქი დაავიწყდათ და მოსჯდომიან თავიანთ კერასა. მე თუ მკითხამთ, აქ ცუდი არა არის რა, ისევ შინა სჯობია ცოლშვილთან ჯდომა, სიტკბოებით სოფელში ცხოვრება ცუდ უბრალოთ ქალაქში სიარულსა. მეორეს მხრით იმედი უნდა გვქონდეს, რომ იქნება დრო მოვიდეს სულ ცოლშვილითაც ქალაქში ჩამოვიდნენ მარადის უკუნისამდე.

მალე მოაწევს დროც მარშლის ამორჩევისა. რასაკვირველია თავად აზნაურობა შეიკრიბება. ვნახოთ, რაზე იქნება ლაპარაკი ყრილობის დროსა, ვის ამოირჩევენ ან რას გააკეთებენ. ჩვენ, თფილელებმაც რომ ვიფიქროთ და კარგი ქართული წარმოდგენაებით დაუხვდეთ, კარგი იქნებოდა. ამორჩევამდინ კარგა ხანია და ამდენს ხანში შეიძლება რამე რიგიანი პიესები გადმოითარგმნოს და წარმოსადგენათაც დამზადდეს.

სანამ ჩვენ თეატრებზე და ამორჩევაზე ვილაპარაკებთ სოფლელები უჩივიან უამინდობასა. წრეულს მეტის მეტი ცუდი მოსავალი მოვიდა: მთელს ქართლში უპურობაა, თესლისათვის ერევანს და გუმბრს მიდიან. კახეთში ვენახები დაზიანებულია ბევრგან; არამც თუ ღვინო არ მოვა, ვაზიც ახალი უნდა გააჩინონ; იმერეთისა კი რა მოგახსენოთ; იქაური არა ისმის რა. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ ამ იმერლებს და კახელებს! ისე გაჩუმებულან, რომ უბრალო მოკლე რასმე ამბავსაც არ იწერებიან, რომ ცოტა რამ რიგიანათ ვიცოდეთ იმათზე ან ავი და ან კარგი. იმერლებიც ჩანს კახელებსავით ზანტდებიან.— წრეულს ერთი სიტყვით პური და ღვინის სიძვირე უეჭველია ჩვენს ქალაქში... ყველა იჩივლებს, იწუწუნებს და იტყვის, რომ თან და თან პური კლებულობს, ღვინო კლებულობს და სხვა და სხვა, და არაფერს კი არ ცდილობს, რომ ღონისძიება რამე მოიგონოს. მაგრამ რა მოიგონოს, რომ ჩემმა დარბაისელმა თავის დროზე არაფრის ზრუნვა არ იცოდა; ფულის შენახვა და საჭირო რასმეზე მოხმარება არ იცოდა, თითქოს დაუშრეტელ წყაროდგან მომდინარეობდეს; დრო გამოიცვალა და დარჩა გაუგებარ მდგომარეობაში: არც შრომა იცის, არც ცოდნა აქვს, არც ფული, არც მოხერხება; რაც დარჩენია, ისიც ეხარჯება, ახალათ ველარაფერი ვერ შეუმატებია. მოდი და ნუ იფიქრებ! მოდი და ნუ იფიქრებ სომხის ქალის შერთვას, ესე იგი სომხის ფულების მოპოებას. მაგრამ ისიც მალე წავა. მაშინ?

— მაშინ მამულებს გავყიდით. მყიდველებს ბევრს ვიშოვნით; აი სომხები ძალიანა ყიდულობენ.

მამულებსაც რო გავყიდით, მერე?—

—მერე და მერე... ღმერთიმოწყალეა, ერთ გზას მოგვცემს!

აი შენი კი ჭირიმე, რომ ღვთის იმედს არას დროს არა ჰკარგავ! იმედიც ის იქნება, რომ ღმერთი ზეციდგან ფულით პარკებს გადმოგვიყრის: გაიხარეთ ქვეყანაზედაო, ჰსვით, ჰსჭამეთ, ფაეტონებით იარეთ, ქაღალდი ითამაშეთო და სხვა და სხვა და სხვა.

რას აკეთებენ ჩვენი ქალები? ნუ თუ ისინიც თავიანთ ქმრებსავით თავის სიცოცხლეს ამაოთ ატარებენ? ნუ თუ ქალებიც არა ზრუნავენ თავიანთ შვილების მომავალ სიცოცხლეზე? ნუ თუ არ ებრალებათ თავიანთი შვილები, ძმები?... ვის უფრო გული დაეწვის შვილებისათვის; ნუ თუ ქალები გულგრილათ უყურებენ, რომ ლოყლოყა, უსაქმო და ხეპრე შვილები ეზდებათ?

ქალებიც იმავე მიწაწყლის შვილები არიან, როგორც კაცები. მაგრამ სანუგეშებლათ ერთ ორ მაგალითს ვიტყვი, რა შრომის მოყვარე ქალები გამოდიან ჩვენში.

მე სოფელში ორი შესანიშნავი ქალი ვნახე. არ ვიცი ის სოფელი იყო ბედნიერი, თუ მე ვიყავი, რომ ესეთი შემთხვევა უნდა მენახა. ორნივე არიან გამოჩენილი მებატონის რძლები; მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც შევიტყე, რომ ერთი იმათგანი არის ინსტიტუტში გამოზრდილი, რვა წელიწადია გათხოვილია და მას აქეთ ქალაქის პირი არ უნახავს: ზის შინა თავის წვრილფეხობას უვლის, დილით საღამომდინ დასტრიალებს ოჯახსა ყმაწვილით ხელში; თვალ ყური უჭირავს ყველაფერზე, ნახევარი მეტი მსახურები გაუყრია, ორი სამი კაციც მეყოფაო; საკუჭნაოს, მარანს, ამბარს, სამზარეულოს უიმისოთ ვერავინ გაღებს და ბოლოს, ჰოი საკვირველებავ! მოცლილ დროს კითხულობს რუსულ და ქართულ ჟურნალებს და წიგნებს. მაგრამ ის არა თუ მარტო თავისთვის არის: თავისის სწავლით, ცოდნით სხვებსაც ეწევა, ასწავლის ავათმყოფების მოვლასა და წამლობასა. ამისთანა მშრომელობა დედამთილს არ მოსწონს და ძალიან სწყინს კიდეცა:—ვის გაუგონია გეთაყვა სამზარეულოში და მარნებში სიარული, ვინ კეთილშობილის ნასწავლი რძალი და ქალი და ვინ ესეები; ამ დროული დედაკაცი ვარ, არცარასად გამიგონია და არც მინახამს, ბარემ გოგოებთან დადექი რაღა! რაღა გარჩევაა გოგოში და ქალბატონში! თვალი კი დაუდგა ამისთანა დროსა, რომ ყველა იბრეულათ გადაბრუნდა!

—ამ ძველს ხალხსაქამდინ არ გაუგია, რომ ეხლა დრო შეიცვალა, ძველებური სიცოცხლე სიცოცხლეს არა ჰგავდა; ოჯახი ოჯახს არა ჰგავდა, და ჭირსავით კი მიაჩნიათ, თუ ძველებურათ რამ არ დაინახეს. მაგრამ ვინ დასდევს! ილაპარაკებენ და დაჩუმდებიან.—გეთაყვა ოჯახი როგორ ავანიავო!? ამ სიტყვით მოიქცა ჩემკენ ის ქალი, როდესაც ისა და ორნი კიდევ სხვანი ვლაპარაკობდით ძველებურ ხალხზე. მე ვუპასუხე:

— რასაკვირველია აგრე უნდა, თუ თქვენი შვილები გიყვართ და იმათთვისა ზრუნავთ.

— დიახაც მიყვარს და კიდეც ასე ვიზამ. აი ყმაწვილი ექვსის წლისა გამიხდა, ვიცი რომ შვიდ-რვა წლამდინ ყმაწვილს შკოლა უჭირდება; მაგრამ ამ საძაგელ გარემოებაში, ამ სოფელში კეთილი არ გამოვა. ვიმეტებ და ვგზავნი ქალაქს; ვისაც რა უნდა, ისა სთქვას.

მართლათაც, ორიოდ კვირის უკან ყმაწვილი ქალაქში შკოლაში მიაბარეს და „საძაგელ გარემოებას მოაშორეს. ერთი დროც შეგვემთხვა და მე ვკითხე—კარგია სოფელში არ მოგწყენიათ; ამოდენა ხანი ქალაქი არ გინახავთ?

— სრულებითაც არა. აქ ამდენი საქმეა, რომ დროც არა აქვს კაცსა მოსაწყენათ. რასაკვირველია, ქალაქში სასიამოვნოა ყოფნა, მაგრამ ქალაქში აბა რას გავაკეთებთ. აქ ოჯახობაა, წვრილ-შვილია, მოსავლის საქმეები ბევრია. აი ხანდისხან წიგნი რო დამაკლდება, ეს კი მომეწყინება.... ჰო, აი თქვენ არ წაგიკითხავთ ესა? რა სახით მომწონს! და აი ეს კი არ მომწონს. და მომიტანა წიგნი, რომელზედაც გავაბით ლაპარაკი.

როდესაც ამ სახლში შევდიოდი გულიდგან სევდა გადმეყრებოდა, ამ ქალს რომ ენახავდი. უფრო ოჯახის საქმეში გართული უნდა მენახა; თუმცა ფეხმძიმეთ იყო, მაგრამ მუდამ მარჯვეობდა და ხშირათ ყმაწვილით ხელში ფეხზე იდგებოდა და რიგს აძლევდა. რამ იმისაგან არ გამიგონია როდისმე ან წუწუნი, ან კვეხნა ზოგიერთ ჩვენ ცრუ-პატიოსან ქალებსავით, რომ დაიწყობენ წუწუნს და მერე თავისთავის ქებას მოჰყვებიან: ოჯახის ბურჯი ეს არის, ჩვენა ვართო.

მეორე ქალი, რომელიცა ვნახე, თითქმის ამის მსგავსი მშრომელი იყო; ისიც ნასწავლი ზავედენიაში, თვრამეტის წლისა და ექვსი თვის ჯვარდაწერილი. იმისი მშრომელობა მთელ სოფლის გლეხობას და დედაკაცობას უკვირდა.

— არ გაგონილა აგრე ყმაწვილი ქალი და აგრე გამრჯე!

დილით მოყოლებული საღამომდინ, შუა ზაფხულის დღეს, კალოს ადგა და პურს თითონ არჩევინებდა და ანაზვინებდა. მოურავები და ცრუპენტელა მსახურები ამანაც დაითხოვა....

მაგრამ... ბევრნი არიან ამისთანა ქალები? ბევრს უყვარს ამ გვარათ თავისი ოჯახი და შვილები? აბა მითხარი, ბატონო მანდილოსანო მკითხველო, შენ ამ გვარი დედა ხარ? ან ამ გვარი იქნები?

ანისხატისუნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვექნება წმინდა მტკვრის წყალი, რომლითაც შეიძლება ყველა აქაურმა სახლის პატრონებმა ისარგებლონ.—

რუსეთის ამბები.

გაზ. „Донъ"ში სწერენ, რომ ერთმა ვორონეჟის მოქალაქეთაგანმა შესწირა ქალაქს 30 ათასი მანეთი ვორონეჟში სახალხო შკოლის გასაწყობათ. ეს ფული შემწირველმა გარდასცა სახალხო განათლების სამინისტროს და შკოლის გაწყობაც იმას მიანდო. თითონ მოქალაქეს ჰსურს მხოლოთ შკოლის საპატიო მზრუნველათ იყოს.—

„ოდესის მოამბის" სიტყვით, იქ მისულა კომისია, რომელიც დანიშნულია იმ უთანხმოების გასარჩევათ, რომელიც ჰხდება სასამართლოსა და პოლიციის შუა; კომმისიამ უნდა დახედოს მომრიგებელი მოსამართლეების და სასამართლოს გამომძიებელის კამერებს, პოლიციებს და სხვ. ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ოდესსაში ეს კომისია მაგდენს ვერაფერს ნახავს, რადგან იქაური სასამართლოები და პოლიცია თანხმობით სცხოვრობენ ერთმანეთში, ამიტომ რომ პოლიცია რაც შეიძლება ღონისძიებას ხმარობს, რომ აასრულოს სასამართლოების ყოველი კანონიერი მოთხოვნილება.—

სიმბირსკი. ამ დღეებში ქალაქის ახლოს მოხდა შემდეგი ფათერაკი, რომელსაც მოგვითხრობს კორრესპონდენტი „რუსის უწყებისა". ცეცხლის გემზე მოდიოდნენ ორნი დანი ტულიდგან. ესენი დაბრუნებულიყვნენ კავკაზიის თბილი წყლებიდგან. ერთი იყო 22 წლისა მეორე 19 წლისა. როგორც დაიძახეს, რომ სიმბირსკი სჩანსო, ისე კიდეც უნცროსი ჩაქანდა თუჯის კიბეებზე. ამ კიბის ერთ ხიდში გაჰქედა ბაშმაკის ქუსლი და მაშინვე მაშინაზე დაეცა, რომელმაც ერთს წუთზე დაფშვნიტა.

შუია. (რუსეთში) სეკტემბრის 5-ს სამ საათზე შუადღის უკან ატეხილა საშინელი ქარი ქალაქიდგან ათ ვერსზე, რომელსაც დიდი ზიანი მიუცია იქაური მცხოვრებლებისათვის. ღრუბელი წამომდგარიყო სამხრეთიდგან. მერე შუის მხრიდგან ამდგარიყო ქარიშხალი, რომელსაც მთელი კალოები, პურის ხოდაბუნები და ჩარდახები ერთიანათ თან გაეტანა სოფელს სტოგოვში. მერე ქარიშხალი ასულიყო სოფელს ტოროპიხაში. აქ საშინლათ გაენადგურებინა ყველაფერი. 10-ზე თუ 15 მინუტზე მიენგრია მთელი სოფელი, რომელშიაც 80 სახლი იყო. ამ სოფლის ახლოს ქარში დასწრებოდა ერთი გლეხი წყლის წისქვილში. ქარს წისქვილი სულ გადაეყარა, მაგრამ გლეხი უვნებელი დარჩენილიყო. მეორე გლეხს სოფელში ჰქონოდა ყუთები ტანისამოსით სავსე ერთი ყუთი ქარს აეწია და დაეხეთქებინა მიწაზე, რომელიც სრულებით დამსხვრეულიყო; ტანსაცმელი არავინ იცის ქარს სად გადაეყარა. ქარიშხალის დროს ერთი გლეხი კალოზე ყოფილიყო; ქარს წაეღო მთელ ნახევარ ვერსზე. ტოროპიხიდგან ქარიშხალი გადასულიყო ივანინისა და სემეიკინის ახლოს დიდ გზაზე და ორი დღის ტყე გადაექცია და ზოგი ხე ძირიანათ მოეგლიჯა. ეს ტყე ეკუთვნოდა გრაფ შერემეტიევს. ამის მერე ქარიშხალს სოფელს ვისოკოვოში 27 სახლის თავი მოეგლიჯა და სამი სახლი სრულებით დაექცია; მაგრამ კაცისათვის კი არაფერი დაეშავებინა. ძნებიც სულ გაეფანტა.

პოლიტიკა.

ფრანცია.

იმპერატორ ნაპოლეონს მიუღია 2 სექტ. სან-კლუს სასახლეში ისპანიის მარშალი-პრიმი და გაუტარებია იმასთან მთელი საათი. იმათ ულაპარაკნიათ განსაკუთრებით ისპანიის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, იმის ტახტისთვის მეფის ამორჩევაზე, კუბის არეულობაზე. როგორც ფრანცუზული გაზეთები ამბობენ, ნაპოლეონს დიდი ლმობიერება და კეთილი მიდრეკილება განუცხადებია მარშლისათვის.—

— სეკტემბრის 4-ს იმპერატორი და მისი მეუღლე დაესწრნენ მინისტრების რჩევაში; ამ სხდომაში თითონ იმპერატორი იყო თავმჯდომარეთ და ლაპარაკობდნენ რეგენტობაზე. მინისტრების მომეტებულმა ნაწილმა თითქმის გარდაწყვიტა იმპერატორის პრინცის სრულწლოვანად გამოცხადება 4 მარტს, როცა იმას შეუსრულდება 14 წელიწადი.—

იტალია.

ფლორენცია, 8 სექტემბერს. ტურინში იყო ამ მოკლე ხანში პედაგოგიური კონგრესი, რომელშიაც 2,000 მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა; მასწავლებლები სუყველა იტალიის სხვა და სხვა ადგილებიდან იყვნენ. სხდომები უნივერსიტეტის დიდს ზალაში იყო და პრეზიდენტათ უ. ბუონკომპანი ამოირჩიეს.—კონგრესის წევრებმა გამართეს კორინიანის სასახლეში, რომელშიაც უწინ პიემონტის პარლამენტი იყო, დიდი გამოფენა სხვა და სხვა შკოლის საჭირო ნივთებისა; აქ იყვნენ: წიგნები, გეოგრაფიის კარტები, სხვა და სხვა შკოლის სახელმძღვანელოები, შკოლის სკამები, სტოლები და სხვ.—რამდენიმე კვირის განმავლობაში კონგრესის წევრები ათვალიერებდენ ტურინის შკოლებს, რომლებშიაც სწავლობენ 20 ათასზე მეტი ყმაწვილები. სხდომაებში იმათ ჰქონდათ ლაპარაკი სხვა და სხვა პედაგოგიურ საგნებზე: რა რიგი უნდა იყოს სწავლა პირველ დასაწყისს და საშუალო სასწავლებლებში, ქალების განათლებაზე, შკოლების რიცხვის გამრავლებაზე, შკოლის ბიბლიოთეკებზე და სხვ.—12-ს უნივერსიტეტის ზალაში დაურიგეს ჯილდოები იმ მასწავლებლებს, რომელთაც უფრო ბევრი სარგებლობა მოუტანეს სახალხო განათლებას.—

შვეიცარია.

სეკტემბრის 14 იყო ლოზანაში პირველი სხდომა „მშვიდობიანობის კონგრესისა, რომლის საპატიო პრეზიდენტათ გამორჩეულია ვიქტორ ჰუგო. მოგვყავს სიტყვა, თქმული ამ გამოჩენილი მწერლისაგან სხდომის გახსნის დროს: „მე ვერ მომინახავს სიტყვები, რომ გამოვთქვა-როგორ აღძრა ჩემი გული თქვენმა ამ რიგათ მიღებამ. მოქალაქეებო, თქვენ არ შესცდით, რომ ეს კეთილშობილი ალპის მხარე ამოირჩიეთ საუბარის გასამართავათ. ეს მხარე თავისუფალია და დიდებული. ამ მშვენიერი ბუნების წინ კაცობრიობას შეუძლია განაცხადოს თავის უსაჭიროესი მოთხოვნილებაები და სხვათა შორის ის, რომ „შემდეგში ომიანობა აღარ იყოს!... ჩვენ შეყრილი ვართ აქ ერთი საქმისთვის; ნება მომეცით გიჩვენოთ ეს საქმე, რადგან გამომირჩიეთ ამ კეთილშობილი კრების პრეზიდენტათ. ჩვენ ყველას აქ შეყრილებს გვაქვს ერთი სურვილი, ერთი წადილი: ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა, ჩვენ გვინდა დავამკვიდროთ მშვიდობიანობა, ყოველი ღონის-ძიებით. ჩვენი სურვილია—გავაჩინოთ მშვიდობიანობა კაცსა და კაცს შუა, ხალხსა და ხალხს შუა, ტომებსა და ტომებს შუა და კაინა და აბელს შუა. ჩვენ გვინდა ბოლო მოეღოს ერთმანეთის სიძულილს. მაგრამ როგორ გვინდა ჩვენ მივახწიოთ ამ მშვიდობიანობას? ჩვენ არ გვსურს მშვიდობიანობა დესპოტიასთან, არც ჯოხ ქვეშ. ჩვენ გვინდა, რომ ხალხი თავისუფლათ სცხოვრობდეს, მუშაობდეს, ჰყიდულობდეს, ჰყიდიდეს, ლაპარაკობდეს და ფიქრობდეს, რომ გვქონდეს შკოლები, სადაც უნდა იზრდებოდნენ მოქალაქეები. ჩვენ გვინდა დიდი ხმელეთის რესპუბლიკა, ჩვენ გვინდა დაწესდეს ევროპის შეერთებული შტატები! მე ვათავებ: თავისუფლება არის მიზანი; მშვიდობიანობა—შედეგი."—

საბერძნეთი.

როგორც ათინიდან ვსცნობთ, საბერძნეთის მმართებლობა გულს მოდგინეთ შესდგომია ჯარის დაიარაღებას და ემზადება ომიანობისთვის. ჯარს ასწავლიან ყველგან სამხედრო ხელოვნებას, სამზღვარს გარეთიდან მოაქვთ სხვა და სხვა ნაირი თოფები, ფლოტს ადიდებენ. ოსმალეთი ძლიერ ადევნებს თვალ-ყურს ამ მზადებას და განზე შესცქერის.—

ფელიციას საქმე.

ერთი ახალგაზდა გლეხის ქალი სახელათ ფელიცია ჰყავდა ნატარიუსს ფრანციაში მოსამსახურეთ. ნაცნობებმა შენიშნეს, რომ ქალი ორსულათ იყო; მაგრამ ის უარს ამბობდა და ემსახურებოდა თავისთვის თავის პატრონს. ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ მეჭორეებმა აცნობეს ეს ამბავი პოლიციას; იმ წამსვე მოვიდა პოლიციის კამისარი, მოიყვანა თან ექიმი და ფელიცია დაამოწმეს. ექიმმა აღმოაჩინა, რომ ფელიცია ყოფილა ორსულათ და კიდევაც უშობია. ახალ დაბადებული ბავში, ბევრი ძებნის შემდეგ, იპოვეს იქ, საცა ყველაზე უფრო ხშირათ მონახვენ ხოლმე იმათ (ფეხის ადგილში).

რადგანაც მამის ძებნა ამნაირ შემთხვევაში აკრძალულია იმ კანონებით, რომლებიც თითონ მამებმა დაადგინეს, ამის გამო გამომძიებელმა ჩამოართვა ჩვენება მარტო ქალს და გამოჰკითხა—ჰყავდა შვილის მოკვლაში იმას თანამოზიარეთ ვინმე, თუ არა. ფელიციამ დანაშაული მარტო თავის თავზე დაიდვა და გარდაწყვეტით თქვა, რომ ამ საქმეში ჩემს მეტს არავის არა ვითარი მონაწილეობა არ მიუღიაო.—

ის რასაკვირველია, იმწამსვე დაატუსაღეს, გაასამართლეს და მოკლე ხნის შემდეგ, სიკვდილით დასჯა გარდუწყვიტეს.—

სასამართლოში მოსამართლეებთ შორის იყო ის ნოტარიუსიც, რომელსაც ფელიცია ემსახურებოდა. პროკურორსა და ადვოკატს შუა ბაასის შემდეგ, მოსამართლეები გავიდნენ ზალიდან ცალკე ოთახში განჩინების შესადგენათ; აქ ნოტარიუსს წამოსცდენოდა რამოდენიმე სიტყვა ფელიციის სასარგებლოთ; მეორე მოსამართლეს, რომელსაც ნოტარიუსთან მტერობა ჰქონდა, ეთქვა ამდროს: ფელიციის შვილის მამა ხომ არ არის; თორემ რათ უდგებაო? ნოტარიუსს გაეგონა ეს სიტყვები და ყურებამდინ გაწითლებულიყო; ამის შემდეგ იმას ერთი სიტყვაც აღარ ეთქვა ფელიციის გასამართლებლათ.—

როცა მოსამართლეები გამოვიდნენ ზალაში და საეროთ გამოაცხადეს თავის გარდაწყვეტილება, რომ ფელიცია დანაშაულია შვილის მოკვლაშიო, იმან გაკვირებით შეხედა ნოტარიუსს, რომელსაც ნაცრის ფერი ედვა და სთქვა:

„თუ ყველა" ნაფიცებმა აღმიარეს მე დამნაშავეთ, მაშ ახლა უნდა გავტყდე, რომ გამოძიების დროს ვტყუოდი, როცა ვთქვი რომ ამ საქმეში თანა მოზიარე არავინ მყავდა მეთქი. როგორც სჩანს, უ. უ. ნაფიცნო, თქვენ არ სჯერდებით იმას, რომ შვილებს გვაყოლებთ და მერე ჰკლავთ იმათ, რომ ცუდი სახელი არ დაგივარდესთ; მე ვხედავ, რომ თქვენ ჰხდებით კიდევ ჩვენ გამკიცხველათ და გვსჯით სიკვდილითა. უ. პრეზიდენტო, ბავშის მკვლელი მე კი არა ვარ, აი ეს არის"; ფელიციამ მიათითა ნოტარიუსს.—

ნოტარიუსი დაატუსაღეს და გადუჭრეს სიკვდილით დასჯა; მაგრამ ნაფიცებმა მიიღეს ყურადღებაში, რომ ის არის კარგი მამა ოჯახისა, წესიერების და ღვთის მოყვარე კაცი და ამის გამო დასჯაც შეუმსუბუქეს.—

სხვა და სხვა ამბები.

ერთს იტალიურს გაზეთში აწერილია შემდეგი შემთხვევა: „ერთმა ახალგაზდა კაცმა, სახელათ სკილიბმა მოინდომა ცოლის შერთვა. იმან ამოირჩია ქალი და ერთს საღამოს ორივე ერთად წავიდნენ ეკკლესიაში ჯვარის დასაწერათ. უეცრათ გვირგვინ ქვეშ დგომის დროს, სკილიბმა, როგორც ახალ გაღვიძებულმა, წამოიძახა: „განა მე ცოლს ვირთამ? როგორ იქნება! მე თვითონ ქალი ვარ"; მღვდელი და სხვები, იმდროს ეკკლესიაში მყოფნი, ძლიერ გააკვირვა ამ სიტყვებმა; ყველამ დააღო პირი და განცვიფრებით შესცქეროდა სკილიბს. ბოლოს მღვდელი თავის თვალით დარწმუნდა, რომ სკილიბი მთლათ კაცი არ იყო და ჯვარის წერასაც, რასაკვირველია, იმ წამსვე დაანება თავი.—

პარიჟში გამოდის ახლა 851 გაზეთი. იმათგან 39 პოლიტიკურია, 79 რელიგიური, 22 ორგანი პროტესტანტის სარწმუნოებისა და 7—ებრაელი სარწმუნოებისა; 29 შეეხება ხალხის განათლებას და 95 იურისპრუდენციას. 16 მმართებლობის გაზეთია; 46 ექიმობისა, 16 სამხედრო ხელოვნებისა, 90 მხნელ მთესველობისა, მებაღობისა და სახლოსნობისა, 90 სხვა და სხვა ხელოვნებისა და თეატრისა; 22 რკინის გზებისა და მთების საქმეებისა და 29 საფინანსო ცოდნისა. ფრანკმასონობასა აქვს 4 ორგანო და სპირიტიზმს 9.—

რამდენიმე ცნობა ტფილისის სტამბებზე.

როგორც გაგვიგონია და ვიცით ამ ჟამათ ტფილისში არის ცხრა სტამბა.

1) კავკასიის ნამესტნიკის უმთავრეს სამმართველოსი,

2) მელიქიშვილისა და კომპანიისა,

3) ენფიაჯიანცისა,

4) დუბილერისა,

5) ჟურნალის „მნათობის" (ავალიშვილის და ელიოზიშვილისა).

6) კერესელიძისა („ცისკრის" ჟურნალისა).

სამ პირველს ტიპოგრაფიაში იბეჭდება წიგნები: რუსულათ, ქართულათ, სომხურათ, ფრანციზულათ, თათრულათ. მეოთხე ტიპოგრაფიაში დაბეჭდილი წიგნი ჩვენ არ გვინახამს და მარტო ბლანკები და განცხადებაები იბეჭდება რუსულათ, ქართულათ, სომხურათ და თათრულათ. უკანასკნელ ორ სტამბებში იბეჭდება მარტო ქართული წიგნები და საკუთარი ჟურნალები: მნათობი და ცისკარი. უმეტესი ნაწილი დროგამოშვებითი გამოცემაებისა, წიგნებისა და ბროშურებისა იბეჭდება სამს პირველ სტამბაში. უმთავრეს სამმართველოს სტამბაში იბეჭდება პერიოდიკული გამოცემაები: Кавказъ, Кавказскій Календарь, Записки кавказскаго общества сельскаго хозяйства, Записки кавказскаго отдѣла Императорск. географическаго общества. მელიქიშვილის სტამბაში იბეჭდება პერიოდიკული გამოცემაები: Циркуляръ попечителя кавказск. учебнаго округа, Протоколы кавказск. медицинск. общества, Протоколы техническаго общества დროება, სასოფლო გაზეთი. ენფიანჯიანცის სტამბაში: სომხეთის ფუტკარი, გაზაფხული (სომხურ ენაზე), საქართველოს სასულიერო მახარობელი (ქართულათ).

ასოებს ასხმენ უმთავრეს სამმართველოს სტამბაში უმთავრესს შტაბში და ენფიანჯიანცის სტამბაში.

ამ ოცი წლის წინათ ქალაქში იყო სულ ორი სტამბა და იმათში მხოლოთ ერთი იყო რიგიანი: ეს იყო ნამესტნიკის კანცელარიის სტამბა. ახლა ამ ექვს სტამბის გარდა არის სამი სამხედრო სტამბები, საკუთარის სამხედრო უწყებისათვის და იქნება კიდევ იყოს სადმე ერთი ან ორი, მაგრამ იქ განცხადებაებს მეტს ვერას დაბეჭდენ. ამ გვარათ უნდა ვთ-

ქვათ რომ წიგნის გავრცელების საქმე ჩვენში სრულებით არ არის უკან დარჩენილი და ამდენ სტამბებს შეუძლიათ კარგათ დაკმაყოფილება, ოღონდ კი იყოს წიგნების ბეჭდვისათვის ფული.

აქვე უნდა ვთქვათ რომ საზოგადოთ ტფილისის ყველა სტამბეში ბეჭდვა არ არის ძვირი.

საბიბლიოგრაფიო შენიშვნა.

ქალაქში კარგა ხანია ბევრს უნდა **სიბრძნე სიცრუის წიგნი** და გასაყიდათ კი არ იშოვება. როგორც გავიგეთ პეტერბურგში უნდა იშოვებოდეს და კარგი იქნება რომ გამომცემელმა აქეთ გამოგზავნოს. მოთხოვნილება ძალიან არის, არიან მთხოვნელები ასობით.

ღარიბათ მორთული და მდიდრათ გამოწყობილი.

(ნეკრასოვიდამ)

1.

აჩქარებულის თვალით ყურება
და გაკეთება პირის სახისა,
შეუხამებლათ ტანთ-მორთულობა —
უ ელა გვიმტკიცებს ვინც არის ისა.
მაგრამ მოდი და ჯერ ნუ გავკიცხავთ,
ნუ ვიტყვით მაზედ ცუდს ნურაფერსა;
ისა სჯობიან, თუ გამოვკითხავთ:
ვით მიაღწია მან მაგ ადგილსა?
ბრძელი არ არის მისი ამბავი:
მის მამა იყო მთლათ საცოდავი,
მეტი საწყალი გლახა მწერალი,
ამასთან კუდის ზნისა მჭერალი —
სულ მთვრალი ეგდო და ავგულობდა,
როდესაც რომ შინ მეითრეოდა.
რა რომ ნახავდა დედა ამასა,
ხელსა სტაცებდა პატარა ბავშსა,
გაიტაცებდა სხვა ოთახშია
და ჩააგდებდა ქვეშსაგებშია;
დაუკეტავდა მაგრათ კარებსა,
რომ არ დასწვროდა მამის ამბებსა.
მაგრამ პაწაწას არ ეძინება,
ესმის, მის მამა რომ იგინება
და დედა სტირის ცხარის ცრემლითა.
ბავში აწევს კრავატს ხელითა
და გული უცემს... რა დააძინებს?
ის ჩუმათ ჩითის ფარდებს გადასწევს
და შესცქერის დაკეტილს კარსა,
სიდამაც ისმენს სოდომის ხმასა.
ხმა გაკმენდილი იგი ყურს უგდებს
და შიშისაგან სულს ძლივს იბრუნებს.
ამ გვარათ ჩიტი დიდს ქარიშხალსა
შიშით ყურს უგდებს, ბუჩქის ძირასა.
ამისი მამა თუმც ავი იყო,
მაგრამ როდესაც ბოლო მოელო,
უამისობით უფრო გაჭირდა
და ცოლი დარდით მას თან გადაჰყვა.
აქ ბავშვი დარჩა უპატრონოთა,
მშიერ-მწყურვლათ და მოუვლელათა,
და ბოლოს გაჰყვა ერთს „მადამასა“
საკერავისთვის მაღაზიაში.
არ აკერვინეს ბევრი ამასა,
არც საქმე იყო საკერავში.

. . . .
. . . .

2.

„მაგრამ რას ვშვრებით? არ დაგვინახონ
მაგის მახლობლათ მდგომარეები!“
და აქ შემკრთალნი განზედ გავდექით
მთლათ სირცხვილისგან ანთებულები!..
ვერა; ვერ ნახავთ შებრალებასა
გაჭირვებისგან დაცემულებო,
ვერ მოესწრებით თქვენს გაკითხვასა,
თქვენს უნებლიეთ ცოდვის შვილებო!
თქვენსა სახელსა მოიხსენებენ
ულოცვის გაკიცხვით და თაკილითა,
და სიხარულით მიუტევებენ
მათ, ვინც ჰყიდის თავს ჭკვის ნებითა,
დაუფიქრებლათ და განუცდელათ
ნამუსზედ ხელი რომ აუღიათ
და მხოლოთ თავის შესაქცევლათ
უნამუსობა თავზედ უდვიათ.
აგერ სამარცხო სარეცელიდამ
თ ვმოწონებით ის წამომდგარა
და ფერ-უმარილის წასაგლესელათ
დიდის სარკის წინ კოხტათ მიმჯდარა.
გამოპრანჭული მდიდრულს საცმელში
იგი მშვენიერს ეკიპაჟს ჯდება,
ისე წაიშვერს კეკლუცათ ფეხებს,
რომ ყველას თვალი იმაზედ რჩება;
და გაბძანდება, ნაზათ მზირალი,
პირველს ქუჩაში,—რომ ხალხს ეჩვენოს,—
იმ ქუჩაშია, სადაც რომ ქვეყნის
მოდა, სიმდიდრე ერთათ ტრიალობს,—
სად დიდკაცობა, თუ ოფიცრები,
თუ ლორეტკები,—ვინც კი რომ გნებავს,—
ყველა მორთული და მოკაზმული
სრულის ღირსებით გამოიჩენს თავს;
სად მთლათ ნახევარ შემოსავალი
სახელმწიფოსი უცებ ინთქმება
სხვა და სხვა ქვეყნის საქონელზედა
და რუსულისთვის კი არ რა რჩება;
სადაც დღე და ღამ არს გამართული
მასკარადი და შექცევები,
რომლით ამაყობს დედა-ქალაქი
და თავმომწონე მის მცხოვრებლები;
სად ფრანციცულათ და ინგლისურათ
დაულმეჭიათ თვის სახეები;
და სეირნობენ, შეექცევიან
კოხტათ, მდიდრულათ მოპრანჭულები,
სიწამხდრისა და უშვერებისა
და სიზარმაცის მიდგმით შვილები...
ის გადაავლებს ამათ თვალებსა.
ვნახოთ, ვის უფრო უგდებს მახესა?
აგერ გამოდის კალასკიდამა
და ლენტით მოჰყავს პატარა ძაღლი:
მის დანახვაზედ აედევნება
სიტუტუცისა და მოდის ხალხი.
ქალებმა უწყეს შურით ყურება,
ჰშურთ იმათ მაგის მორთვა და ქცევა.
საშურიც არის ეგ შენი ყოფა,—
აბა რათა ჰღირს შენი შეხედვა!
ბრილიანტები და ყვავილები
პრუჟკვი და სხვა სამკაულები
კაცს გამოიყვანს გონებიდამა
და შუბლზე დაღი ესე სიტყვები:
„საქვეყნოთ ქალი ეს ისყიდება!“
რაო, გარყვნილო! რას იყურები
ამაყის სახით? რით მოგაქვს თავი?
არამც თუ მართლათ, არაკათაც კი
საზიზღარია შენი ამბავი.
უმაწვილი იყავ, პარიჟს რომ მიხველ,
შენ იქ გაჰყიდე უმანკოება
და იქ დაჰკარგე შენ სინიდისი,
ისწავლე გლესა და მოტყუება.
მერე მობრძანდი ჩვენს ქვეყანასა:
შენ გაგეგონა, რომ ჩვენს მხარეში
ადვილათ ჰყვლეფენ დიდს ბატონებსა!
დიახ, ჰყვლეფავენ! მაგრამ ამისთვის
საჭირო არის ატტესტატები.
ჩვენ ვერ წაგვიძლევს მშვენიერება,
ვერ გაგვაკვირვებენ უსირცხოები:
ჩვენ გვინდა იყვეს გამოჩენილი,
ჩვენ გვინდა იყვეს მოდისა ქალი,
და უამისოთ ყურს არ დაუგდებთ,
თუნდა რომ იყვეს მთლათ ქვეყნის თვალი.
აგერა შენა: სიყმაწვილეში
უფრო ლამაზი კარგიც იყავი,
მაგრამ შენ მაშინ ღარიბ იყავი
და არც მოდაში შესულიყავი;
იმიტომ ყურსაც არვინ გიგდებდა
და იყავ ისე შეუნიშნავი.
შემდგომ, შენ ბოლოს, რაღაცა ბედმა
ჩაგიგდო ხელში დიდი ვაჭარი.
შენი ამბავი ამ ბრიყვის ხელში
თუმც პირველ დროში საბრალო არი:—
ის, როგორც ყველა უშვერი კაცი
ხან მათრახს გცემდა და ხან გკოცნიდა;—
მაგრამ გაგიჭრა ბოლოს იღბალმა
და ისი მხეცი უცებ მორბილდა.
მან იწყო სწავლა ფრანციცულისა,
რომ შენთან სიტყვის თქმა შესძლებოდა.
ამ ხანათ იგდე მარჯვე დრო ხელში
და შეისწავლე ყოველმხრივ მოდა.
შენ გაიჩინე კარგი ცხენები,
ეკიპაჟები და მსახურები,—
დაიწყე ბრწყინვა ქვეყანაშია
და შემოხვედი დიდს მოდაშია.
ჩვენც ეგ გვინდოდა! აბა რას დავდევთ,
რომ თავსა ჰყიდი, როგორც ფარჩასა,
რას დავდევთ, რომა თავით ფეხამდინ
შენ მისცემიხარ გაყრყვნილობასა!
აბა რას დავდეთ, რომ ხარ ტინგიცი,
ხარ უსირცხვილო, მსუნაგი, ხარბი,
რომ სილამაზე შენი არ ვარგა,
როგორც არ ვარგა ძველი პერანგი,—
არას დაგიდევთ,—ასე ამბობენ
მეჯითი მცოდნე თქვენის ხალხისა,
რომ შენს გარყვნაში მშვენება არის
და ურცხობაში — სახე გმირისა!..
გარემ არ გსურდა შენ შვილოსნობა,
მაგრამ არა ჰქნა ცამ აჯა შენი:
კბილთა ღრჭენით და შეჩვენებითა
ვაჟისა დედა შენც შეიქენი.
რაკი პაწაწა წამოგეზარდა,
შენ იგი მორთე მშვენიერათა,
ასე მორთული გამოიყვანე
ნევის პროსპექტზედ კადნიერათა,
თავი მოგწონდა ვაჟის დედასა
ფულში სირცხვილის მაგიერათა.
ვინ რას გეტყოდა! ბავშვის დანახვამ
არ აუმღვრია არავის გული,
როგორც ყოფილან აქამდისინა,
ყველანი დარჩნენ შენი ერთგული,—
ჩვენ სიცილათაც არა გვყოფნიდა
ბავშვის ცქრიალი, ბავშური ენა
და, პირიქითა, ჭკუის საზრდოსა
მრავალს ვპოვებდით ამაში ჩვენა.
და აოცებდა მთელს გვარდიასა,
რომ ბავშვი ყველას ხელს აწოდებდა
და უძახოდა ყველას „მამასა.“
არვინ აიღო ხელში ტალახი
და არ ესროლა გარყვნილს დედასა!
დედის გრძნობითაც იწყო ვაჟრობა
და უფრო უწყო ყვლეფა ყველასა.
აგერა მწარეთ პირჩამოხმარნი
დაეთრევიან ნევის ნაპირსა
იმისგნით სულმთლათ გაყვლეფილები
და იწყევლიან თავსა და ბედსა.
მაგრამ კიდევაც მათ მაღლითი
არვის ჭკუაზედ არ დააყენებს:
კიდევ ბევრს გაჰყვლეფს ეს დედაკაცი
და ბედზედ კიდევ ბევრს ატირებს.
რატომ არ იზავს ამ საქმეებსა?—
ჭკუის სიჩლუნგე, უსაქმურობა,
მოდის აყოლა და გარყვნილობა
ყველა სიმარჯვით უმართავს ხელსა...
მაგრამ დასცხერი ჩემო კალამო!
ბევრსაც მოსძიებ ჩვენს უკეთესსა,
მაგრამ ვერა რა ვერ გაუწყვიათ
ამათ დამშვრალს მათს კალმის წვერსა.
ვერ შევამოკლებთ ჩვენის ნაწერით
რუსეთში ურიცხვთ სულელებთ რიცხვსა
და მხოლოთ ჩვენის დავრდომილის ხმით
კაეშანს მოვჰფენთ ჭკვიანის გულსა.

ანტონ ფურცელაძე.

1869 წ.

ქება შრომას.

ვინც მუდამ მიწასა ჩიჩქვს,
ან ჩაქუჩით ქვას ამტვრევს;
ვინც კალოზე პურს ლეწავს
და ლუკმა პურს თავს აჭმევს,
აფერუმ მისსა შრომას,
ქება იმის ოფლის წვეთს;
ქება მის მუშურსა ხმას
და მის მარტოხელსა ბედს!

ვინც გუთანს მისდევს ოფლით
და მუშურს ალილინებს;
ვინც ტვირთითა და ოხვრით
ცოლ-შვილს ძლივ მოაპურებს,

—

აფერუმ მისსა შრომას,
ქება იმის ოფლის წვეთს;
ქება მისს მუშურსა ხმას
და მის მარტოხელსა ბედს!

—

არ დაგავიწყდეთ ისიც,
ვინც ჭკუითა მუშაობს,
მაგრამ, სოფლის მხდალობით,
ლუკმა პურსაც ძლივ ჰპოობს.

—

აფერუმ ყოველ შრომას,
ქება ყოველს ოფლის წვეთს;
ქება მუშის მუშურს ხმას
და მათ მარტოხელსა ბედს!

გ. ჭალადიდელი.

1868 წ. ქუთაისს.

სავაჭრო ცნობები.

სექტემბრის 19-ს პეტერბურღის ბირჟაზე პირველი შინაგანი სესხის ბილეთები გადიოდა — — — — — — — — 142 მან.
მეორე სესხისა — — — — — — 149 —
ხუთ სარგებლიანი (5%) სახელმწიფო ბანკის ბილეთები — — — — —87 მან. და 25 კ.
5% გამოყიდვის ბილეთები — — 84 მან.
ნახევარი იმპერიალი ღირს — 6 და 60 კაპ.
პური—ჩეტვერტი (7 კოდი) — 11 — 75 —
ლონდონის—$29^{11}/_{16}$ პენსში აძლევენ —1 მან.
პარიჟის — —$310^{3}/_{4}$ სანტიმში — — 1 მან.

მოსკოვის ბირჟაზე 14 სექტემბერს გასასყიდელი აბრეშუმი არ ყოფილა.

დერბენდის ენდრო ღირდა — 10 მან. და 50 კ.
ბუხარის ბამბა — — — — 12 მან. და 50 —
ამერიკის ბამბა — — — — 16 მან. და 50 —

კურსები, ფონდები და აქციები თან და თან ეცემიან სუყველა ბირჟებზე.

ფოჩტა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: ორშაბათობით ერევანში და ჯულფისაკენ.—სამშაბათობით ბაქოს გუბერნიაში და შემახაში—მსუბუქი ფოჩტა.—ოთხშაბათობით რუსეთში, ქუთაისში—ფოთამდინ, ერევანში, ალექსანდროპოლში და ნოვობაიაზეთში.—ხუთშაბათობით—რუსეთში. პარასკეობით—ქუთაისში, კახეთში და ერევანში. შაბათობით—რუსეთში და შემახაში.—კვირაობით: რუსეთში და ქუთაისში.

ტელეგრაფი.

დეპეშის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: ქუთაისში, ბაქოს, ვლადიკავკაზს, ოზურგეთს, ფოთს, ერევანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას—1 მან. ასტრახანს, ქერჩში, მოსკოვს და ოდესსას—2 მან.—თელავს, სიღნაღს—50 კაპ.—პეტერბურღს, ჟენევას, სტამბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება მელიქიშვილის სტამბაში და ალადათოვის წიგნის მაღაზიაში

კატა აწონა.
კომედია
ორ მოქმედებათ
დ. [illegible]
ფასი ერთი შაური [illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Октября, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.